საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060163192813216

ბრძანება **№-319**

ქ. თბილისი **27** / ივნისი / **2016** წ.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის **1200** მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის მდ. ყუროზე საჰაერო გადასასვლელის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის „თ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №35; 27.06.2016 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის 1200 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის მდ. ყუროზე საჰაერო გადასასვლელის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№35; 27.06.2016) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუასქ. ნა, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ 35

27 ივნისი 2016 წ

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება - „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის“ მაგისტრალური გაზსადენის მდინარე ყურიზე საჰაერო გადასასვლელის მშენებლობა და ექსპლუატაცია;
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი;
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი - 14.06.2016 წ;
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია”.

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"-ს ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის 1200 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის მდ. ყუროზე საჰაერო გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის 1200 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის მდ. ყუროზე საჰაერო გადასასვლელის პროექტის განხორციელების ადგილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ხოლო საპროექტო გაზსადენის სიგრძეზე 358 მ-ია.

2015 წლის ზაფხულში განვითარებულმა ღვარცოფმა გამოიწვია „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის" მაგისტრალური გაზსადენის მდ.ყუროზე გადასასვლელის ქვედა ნაწილის (გადაკვეთის ადგილიდან მდინარე თერგთან შესართავამდე) არსებითი წარეცხვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა გაზის ტრანსპორტირების საიმედოობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივი გაზის შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, მიღებულ იქნა მდინარე ყუროს ხეობაზე კიდული ხიდის მშენებლობის გადაწყვეტილება, არსებული წყალქვეშა გადასასვლელის შენარჩუნების პირობით.

კიდულ ხიდზე მილსადენი განლაგდება იმ სიმაღლეზე, რომ ღვარცოფის გამეორების შემთხვევაში დაცული იყოს მილსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობა.

პროექტით ნაპირდამცავი ან სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარება არ არის გათვალისწინებული. გაზსადენის საექსპლუატაციო ორგანიზაციამ სისტემატური დაკვირვება უნდა განახორციელოს საჰაერო გადასასვლელსა და მიმდებარე ტერიტორიაზე და, საჭიროების შემთხვევაში, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

წყლის ნაკადში სამშენებლო სამუშაოები არ იწარმოებს.გაზსადენის კოროზიისაგან დაცვა განხორციელდება პასიური დაცვის სისტემების გამოყენებით.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000 წ.) საკლევი ტერიტორია განეკუთვნება დიდი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდის ნაოჭა სისტემის ქვედა და შუა იურული ფიქლების ყაზბეგ-ლაგოდეხის ზონას.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 9 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას.

ვინაიდან ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის ვანტური გადასასვლელის მოწყობა გათვალისწინებულია მდ. ყუროს კალაპოტის ფსკერიდან მნიშვნელოვნად მაღლა, ამიტომ მდინარის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულებისა და კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმის დადგენა არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

საკვლევი არეალი მცენარეული მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვანია რაც გამოწვეულია ორი ფაქტორით: დერეფნის სიმცირით და ადამიანის ზეგავლენით. ზოგადად მცენარეულობა შეიძლება შეფასდეს, როგორც დეგრადირებული.

იქიდან გამომდინარე, რომ დერეფანი ნაწილობრივ ემთხვევა მოქმედი გაზსადენის უკვე არსებულ დერეფანს, შესაბამისად მცენარეულობაზე ზეწოლა მნიშვნელოვნად შემცირებულია.საკვლევი დერეფნის უდიდესი ნაწილი ეროზიისადმი მიდრეკილია მშრალი ტიპის მცენარეულობის და მცენარეულობას მოკლებული მონაკვეთების გამო.

საჰაერო გადასასვლელი მდებარეობს მდ. ყუროს მდ. თერგთან შესართავის სიახლოვეს ყუროს ქედის დასავლეთ ფერდობებზე. უშუალოდ გაზსადენის საჰაერო გადასასვლელის მონაკვეთთან მდინარე ხეობის ფსკერზე ღვარცოფების მიერ დაგროვილ მასალისგან შემდგარ ღრმად ჩაჭრილ კალაპოტში მოედინება, სადაც კარგად არის გამოხატული ძველი და ახალი ჩამონატანის მიერ შექმნილი ტერასები.

მაღლა მდებარე ტერასაზე განვითარებულია ბუჩქნარი, ძირითადად ქაცვი, ასკილი და კოწახური. ასეთივე ბუჩქნარია ზოგ ადგილას ხეობის მარჯვენა მხარეს გაზსადენის საჰაერო გადასასვლელის დასაწყისთან.

გაზსადენის საჰაერო გადასასვლელის სამშენებლო არეალი მცირე ფართობს მოიცავს, ამავდროულად ანთროპოგენური პრესის ქვეშ იმყოფება, რაც ბუნებრივია განაპირობებს მობინადრე ფაუნის სიღარიბეს. სახეობათა უმრავლესობა აქ მხოლოდ დროებით და შემთხვევით ხვდება მიგრაციების ან საკვების ძებნის დროს მიმდებარე ტერიტორიებიდან. კანონმდებლობით დაცული სახეობებიდან რომლებიც შესაძლოა შეგვხვდნენ საპროექტო არეალში მხოლოდ ფრინველებია.

მდ. ყურო ღვარცოფული ხასიათიდან გამომდინარე, მთლიანად მოკლებულია იქთიოფაუნას. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში მდინარე ყუროს ჰიდროფაუნის კვლევა არ ჩატარებულა.

„ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის" მაგისტრალური გაზსადენი მდ. ყუროს სიახლოვეს, კვეთს ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიას. ზემოაღნიშნული პროექტის სამშენებლო დერეფნის ნაწილი (9044.94 მ2) ექცევა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. ამ ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" მოპოვებული აქვს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება (წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს დანართის სახით თან ერთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №ი-238 და სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლებით გადმოცემული ყაზბეგის ეროვნული პარკის ფართობის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შესწავლილ სამშენებლო დერეფანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც გარკვეულწილად ხვდება მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ, კულტურული მემკვიდრეობის არქეტექტურის ძეგლები არ ფიქსირდება. არქიტეტქტურის ძეგლი, დარბაზული ეკლესია დაფიქსირდა სამშენებლო დერეფნიდან 260 მეტრში.

არქეოლოგიური კვლევისას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ობიექტი, არტეფაქტი არ დადასტურდა.

სამშენებლო დერეფნის ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს სპეციალური ტურისტული დანიშნულების მარშრუტი არ გადის.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მშენებარე ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

სამშენებლო სამუშაოების შედეგად ხმაურის გავრცელებით ადგილობრივ მოსახლეობაზე ნეგატიური ზემოქმედებების მასშტაბები არ იქნება მნიშვნელოვანი.

პროექტის განხორციელების შედეგად, სახიფათო გეოლოგიური პროცესების გააქტიურება მოსალოდნელი არ არის.

წყლის ნაკადში სამშენებლო სამუშაოები არ იწარმოებს;

გზშ-ს ანგარიშშს მიხედვით ჩატარებული კვლევების დროს გამოვლენილი სახეობებისა და თანასაზოგადოებების შესწავლის დროს მიღებული შედეგებით ინფრასტრუქტურის მშენებლობის არეალში არ აღირიცხა ბიომრავალფეროვნებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მცენარეთა ცენოზები ან წითელი ნუსხით დაცული სახეობები. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი ზემოქმედება მცენარეულ საფარზე მინიმალურია.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიხედვით მილსადენის მშენებლობით გამოწვეული გარემოზე მაღალი ან საშუალო დონის ნარჩენი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები; გარემოსდაცვითი მართვის გეგმა; ნარჩენების მართვის გეგმა; გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა; ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა; საგანგებო სიტუაციების მართვა; საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს აღდგენის პირობები; მაგისტრალური გაზსადენის მოკლევადიანი შეჩერება ან რემონტი; გაზსადენის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეჩერება ან კონსერვაცია; მაგისტრალური გაზსადენის ლიკვიდაცია; დასკვნები და რეკომენდაციები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

III. პირობები

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. მშენებლობა და ექსპლუატაცია განახორციელოს წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის, საქმიანობის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის; ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის; შესაძლო ავარიული სიტუაციების; საგანგებო სიტუაციების მართვისა და დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულება.
2. უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
3. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის პროექტისა და განთავსების ტერიტორიის შეთანხმება გარემოსა და ბინებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.
4. სამშენებლო სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
5. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

IV. დასკვნა

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"-ს ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის 1200 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის მდ. ყურიზე საჰაერო გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების

დეპარტამენტის უფროსი

<u>თამარ შარაშიძე</u>

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)